საპროექტო წინადადებების კონკურსის I ეტაპი
წინასწარი საპროექტო განაცხადი (მოკლე კონცეფცია)

პროექტის თავფურცელი

(არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს)

პროექტის ამოცანები	*პროექტის ზოგადი ამოცანა: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ სტიგმის შემცირება იურიდიული პროფესიის (ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელების, იურისტი-სტუდენტები, პროფესორები) წარმომადგენლებს შორის.* *პროექტის კონკრეტული ამოცანა:* *1. საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა: სტიგმის ზეგავლენა სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ცხოვრებაზე.* *2. ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, პოლიციაში, სასამართლოში, ადვოკატთა ასოციაციაში, იურიდიული დახმარების სამსახურში, კერძი იურიდიულ ფირმებში.*
მოსალოდნელი შედეგები	*1. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები (**ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელები, იურისტი-სტუდენტები, პროფესორები**) გაეცნობიან სამეცნიერო მტკიცებულებებს სტიგმის ზეგავლენის შესახებ.* *2. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები (**ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელების, იურისტი-სტუდენტები, პროფესორები**) გააცნობიერებენ საკუთარ სტიგმას.* *3. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალის (ფსიქიატრის) და იურისტის მონაწილეობით ჩატარდება ანტი-სტიგმა ინტერვენციები და შემცირდება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების სტიგმა გარკვეული ხარისხით.* *4. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები გააცნობენ საზოგადოებას რა ტიპის სტიგმა ჰქონდათ ცვლილებამდე და ამით შემცირდება საზოგადოების სტიგმა,*
პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა	*სამაგიდო კვლევა, ცნობიერების ამაღლების კამპანია მიზნობრივ ჯგუფებთან და კომუნიკაციის კამპანია ფართე საზოგადოებასთან*
სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	*ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, მათი მეგობრები, მათი ოჯახის წევრები, ადვოკატები, პროკურორები, მოსამართლეები, ნოტარიუსები სტუდენტები, პროფესორები.*
საბოლოო ბენეფიციარები/ მოსარგებლეები	*საქართველოს მოსახლეობა.*
პროექტის ხანგრძლივობა	*9 თვე*
მოთხოვნილი თანხა (ლარში)	*15000 ლარი*

1. **პროექტის სახელწოდება:** „როცა განსხვავებულობა გვაერთიანებს“
2. **პროექტის მიზანი** (1-2 წინადადებით):

პროექტის მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ცხოვრების ხარისხის და საზოგადოებაში ინკლუზიის გაძლიერება მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, რაც პირველ რიგში, სტიგმის შემცირებით უნდა დავიწყოთ.

პროექტის ამოცანები:

პროექტის ზოგადი ამოცანა: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ სტიგმის შემცირება იურიდიული პროფესიის (ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელების, იურისტი-სტუდენტები, პროფესორები) წარმომადგენლებს შორის.

პროექტის კონკრეტული ამოცანა:

1. *საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა: სტიგმის ზეგავლენაზე სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ცხოვრებაზე.*
2. *ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, პოლიციაში, სასამართლოში, ადვოკატთა ასოციაციაში, იურიდიული დახმარების სამსახურში, კერძი იურიდიულ ფირმებში.*
3. *ფართე საზოგადოებისთვის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეცვლილი დამოკიდებულებების გაცნობა და ამით მათი სტიგმის შემცირება.*

4. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები): 9 თვე
5. მოთხოვნილი თანხა (ლარში): 15 000
6. პროექტის ხელმძღვანელი (სახელი/გვარი და თანამდებობა): სოფიკო მენაბდიშვილი
7. საკონტაქტო ინფორმაცია:

- ორგანიზაციის შემთხვევაში, დასახელება რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით: „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“
- მისამართი: ალექსიძის 1, ,მე-2 კორპუსი, ბ. 26
- ტელეფონი: 598 480 042
- ელექტრონული ფოსტა: sopiko.menabdishvili@yahoo.com

- ვებ-გვერდი: phr.ge

8. პრობლემის აღწერა

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებისათვის, ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღება და ადამიანის უფლებების სარგებლობა, ხშირად (ისევე როგორც სხვა მოქალაქეების შემთხვევაში) გულისხმობს იურიდიულ პროფესიასთან შეხებას. მათ ყოველდღიურად ესაჭიროებათ ადვოკატის, ნოტარიუსის, მოსამართლის, პოლიციელის დახმარება საკუთარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განსახორციელებლად. თუმცა, თუ ამ პროფესიის წარმომადგენლები ხშირად, იმთავითვე, ტენდენციურად არიან განწყობილნი ან აქვთ შიში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან ურთიერთობის, ბუნებრივია ისინი თანასწორ და სამართლიან მომსახურებას ვერ გაუწევენ.

ორგანიზაციამ თავის 5 წლიანი საქმიანობის პერიოდში აღმოაჩინა, რომ იურისტებს, მოსამართლეებს, ნოტარიუსებს, ხშირ შემთხვევაში, აქვთ სრულიად არასწორი წარმოდგენები ამ სფეროს შესახებ. მაგალითად, ისინი ფიქრობენ, რომ ფსიქიკური პრობლემის მქონე პირი სულ აგრესიულია და მისგან სულ შეტევას უნდა მოელოდნენ, რის გამოც ერიდებიან მასთან ერთად ოთახში დარჩენას. ფიქრობენ, რომ თუ ადამიანი მეტყველებისას გარკვეულ ხარვეზს ავლენს, ეს უკვე გამორიცხავს მისი მოსმენის საჭიროებას და ა.შ.

ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილია, რომ იურისტების სტიგმატიზირებული დამოკიდებულებები მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის და სხვა ქვეყნებში ამ სტიგმის კვლევაც, მისი ზეგავლენის ეფექტის გამოვლენა და გაზომვაც უკვე ჩავლილი ეტაპია. სამწუხაროდ, ეს გამოცდილებები საქართველოში ცნობილი არ არის. დღეს-დღეობით, ისიც კი არ არის აღიარებული ქვეყანაში, რომ სტიგმატიზირებულმა დამოუკიდებელმა შესაძლოა სამართლიანი მართლმსაჯულების (ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) უფლება დაარღვიოს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც რომ საზოგადოებაში არსებულ სტიგმასთან მუშაობა საკმაოდ რთული პროცესია და გულისხმობს საზოგადოების არა ჰომოგენურ ჯგუფად აღქმას, არამედ მასში გაერთიანებული განსხვავებული ჯგუფების საჭიროებების ანალიზს. ანტი-სტიგმა ინტერვენციის ერთი რეცეპტი (სტრატეგია) ვერ იქნება ერთნაირად ეფექტური ყველასთვის: მაგალითად სამედიცინო პროფესიის და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან, ვინაიდან მათ სტიგმას სხვადასხვა წარმომავლობის სტერეოტიპები კვებავს.

მაგალითისთვის, განვიხილოთ იურისტებთან არსებული სტიგმატიზირებული დამოკიდებულების სათავე, რომელიც მეტწილად კავშირშია იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებისთვის სამოქალაქო სამართალში წაკითხულ ფუნდამენტურ თეზასთან: **ადამიანის მიერ გამოხატული ნება უნდა იყოს მისი მხრიდან სრულად გაცნობიერებული და ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოხატული ნება საცილო გარიგებებს წარმოშობ, ხოლო არასრულფასოვნი ნების შემთხვევაში კი ხელშეკრულება ბათილია!** როდესაც იურისტებთან სტიგმაზე უნდა ვიმუშაოთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მათი მხრიდან „საცილო გარიგებების" შესახებ მოგონების გაანალიზებას.

შესაბამისად, პროექტის შემომტანი გუნდის გამოცდილებიდან დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ იურისტებთან სტიგმის დეკონსტრუქციაზე იმუშაონ თავად იურისტებმა, რომლებიც გაძლიერებულნი იქნებიან სხვა პროფესიის და თავად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ, ვინაიდან სწორედ ისინი მოახერხებენ აბსტრაქტული და თეორიული ცნებების გაცოცხლებას ცხოვრებისეულ გამოცდილებებში.

ამავე დროს, ანტი-სტიგმა ინტერვენციის შეხვედრები უნდა დაეყრდნოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მეირ შემუშავებული ხარისხის უფლებების (Quality Rights) კონცეფციას

ასევე მნიშნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ ვერცერთი მცირემასშტაბიანი პროექტი ვერ მოახერხებს ყველა პროფესიის ყველა წევრთან მუშაობას და ამიტომ, პროექტი ითვალისწინებს იმ იურისტების „სთორი"-ების და „ციტატების" გამოქვეყნებას, რომლებიც, პროექტის შედეგად გააანალიზებენ თავიანთ ცნობიერებაში და დამოკიდებულებაში ცვლილებებს. მაგ. „ამ შეხვედრამდე მეგონა რომ... როგორც აღმოჩნდა..." და სხვასაც მოუწოდებენ, გადახედონ თავიანთი სტერეოტიპები. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება სერიოზული გავლენის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჩვენი მცირემასშტაბიანი ანტი-სტიგმა ინტერვენცია, სამაგიდო კვლევა და ცნობიერების ამაღლების კამპანია, შეიტანს თავის წვლილს ქვეყანაში ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირებაში.

ჩვენი მოსაზრებით ამ პროექტის უშუალო ბენეფიციარი იქნება 300-მდე, იურისტი (ნოტარიუსი, პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე, სტუდენტი, პროფესორი). რომლებიც მინიმუმ 500 სხვა იურისტს გაუზიარებენ გამოცდილებას (პროკურორების, ადვოკატების დიდი ნაწილი ასევე არის პროფესორ-მასწავლებელი).

9. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის აღწერა

1. სამაგიდო კვლევის (მცირემასშტაბიანი) ჩატარება სტიგმის ზეგავლენის შესახებ სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებაზე მოსამართლეების, ადვოკატების, პროკურორების, ნოტარიუსების მიერ.

2. ანტი-სტიგმა ინტერვენციის შედგენა (2 საათიანი შეხვედრა) ერთობლივად მულტიდისციპლინარული გუნდის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, იურისტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტი) მიერ.

3. ანტი-სტიგმა ინტერვენციის განხორციელება მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ ადვოკატებთან (1 შეხვედრა), მოსამართლეებთან (1 შეხვედრა), პროკურორებთან (1 შეხვედრა), ნოტარიუსებთან (1 შეხვედრა), პოლიციელებთან (1 შეხვედრა), იურისტ-სტუდენტებთან (1 შეხვედრა), პროფესორებთან იურიდიული ფაკულტეტზე (1 შეხვედრა).

4. საზოგადოებრივი (მცირემასშტაბიანი) კამპანიის ჩატარება იმის შესახებ ტუ როგორ მცირდება სტიგმა სამართლის პროფესიონალებში: 3 ბლოგი, 10 ციტატა სოციალურ ქსელში (პროკურორის, პოლიციელის, ადვოკატის ა.შ.), 3 მედია გაშუქება.

10. პროექტის მოსალოდნელი შედეგები და მისი გრძელვადიანი გავლენა

1. *იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები (**ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელების, იურისტი-სტუდენტები, პროფესორები**) გაეცნობიან სამეცნიერო მტკიცებულებებს სტიგმის ზეგავლენის შესახებ.*
2. *იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები (**ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელების, იურისტი-სტუდენტები, პროფესორები**) გააცნობიერებენ საკუთარ სტიგმას.*
3. *ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალის (ფსიქიატრის) და იურისტის ერთობლივი სემინარებით ჩატარდება ანტი-სტიგმა ინტერვენციები და შემცირდება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების სტიგმა გარკვეული ხარისხით.*
4. *იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები გააცნობენ საზოგადოებას რა ტიპის სტიგმა ჰქონდათ ცვლილებამდე და ამით შემცირდება საზოგადოების სტიგმა.*

პროექტის მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება კვლევით, რომელიც დარჩება და ასევე, პროექტის გუნდი შეეცდება ამ შეხვედრის

ინსტიტუციონალიზაციას იურიდულ ფაკულტეტებზე, რათა მომავალშიც მოხდეს მსგავსი ანტი-სტიგმა ინტერვენციების ჩატარება იურიდულ პროფესიაში შემსვლელი პირებისათვის.

5. ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილება

რასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" შეიქმნა 2012 წელს. ჩვენი მისიაა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების - მათ შორის ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულების და სხვათა მხარდაჭერა, გენდერული თანასწორობის გაძლიერება და ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის მხარდაჭერა, რაც მიიღწევა:

- ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციითა და სამოქალაქო განათლების სწავლების ხელშეწყობით.
- სტრატეგიული სამართალწარმოების გზით სოციალური ჯგუფების დისკრიმინაციის შემთხვევაში სასამართლოში წარმომადგენლობით.
- ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის მხარდაჭერით.
- ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაძლიერებით.
- სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მხარდაჭერით.
- სამართლებრივი და სოციალური კვლევების ჩატარებით, რომელიც საფუძვლად ედება მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ადვოკატირების კამპანიას.

ორგანიზაციის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ˙ადრეულ ასაკში ქორწინების, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და სექსუალური შევიწროვების საკითხებს. რამდენიმე წელია ორგანიზაცია სამართლებრივ დახმარებას უწევს გენდერული ნიშნით, ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების მსხვერპლ ქალებს. ამ ეტაპზე, ორგანიზაცია, აქტიურად მუშაობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების დაცვის კუთხით. კერძოდ, ორგანიზაციას აქვს მიმდინარე პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონების (19 წლამდე გოგონები) სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების, როგორც ძალადობისგან დაცვის პრევენციული მექანიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების კონტექსტში.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას ასევე აქვს მიმდინარე პროექტი ქმედუნარიანობის რეფორმასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია საქართველოში ქმედუნარიანობის ახალი რეფორმის მხარდაჭერის გაგრძელება. ის მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მხარდაჭერის საპილოტე მოდელების

მონიტორინგს სათემო სახლებში, საკუთარი უფლებების რეალიზების მიმართულებით სამართლებრივი დახმარების გაწევას იმ პირებისათვის, რომელთაც ახლახან აღუდგათ ქმედუნარიანობის სტატუსი და გადაწყვეტილების მოდელის ალტერნატიული სამართლებრივი მიდგომების დანერგვასა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ხელშეწყობას.

ორგანიზაცია 2017 წლიდან დღემდე ახორციელებს პროექტს „აღმოაჩინე საქართველოს კანონმდებლობის გამოუყენებელი შესაძლებლობები გენდერული დისკრიმინაციისა და გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად," რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროებისა და სხვა თემებზე. აღნიშნული პროექტის ბენეფიციარები ასევე არიან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფონდი „ღია საზაოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით 2016 წლიდან დღემდე ახორციელებს პროექტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის თემაზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", "ქალთა ფონდი საქართველოში"-ს ფინანსური მხარდაჭერით, 2015 წელს ახორციელებდა პროექტს "ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მცხოვრები და ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალთა დაცვა ძალადობისგან." პროექტის ფარგლებში, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალებს ჰქონდათ შესაძლებლობა, სამართლებრივი დახმარება მიეღოთ PHR-ისგან. ორგანიზაციის წარმოამდგენლები აქტიურად აწვდიდნენ ინფორმაციას მხარდაჭერის საჭიროების მქონე ქალებს საკუთარი უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმის შესახებ.

ამავე წელს ევროკავშირის მხარდაჭერით, პარტნიორ ორგანიზაციებთან "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის"-თან ერთად PHR-მა განახორციელა პროექტი "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო უფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაცია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად".

2015 წელს ა/ო "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" პარტნიორი ორგანიზაციებთან ერთად: ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი და დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრი ახორციელებდა პროექტს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მეინსტრიმინგი, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში."

პროექტის წარდგენის თარიღი: 20.01.2019

პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

....

ორგანიზაციის /საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ხელმოწერა (თუ ის არ არის პროექტის ხელმძღვანელი):

.... ანა არგვანიშვილი